

306 არიან გათავისუფლებული გადასახადებისა

საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან ამა თუ იმ გადასახადების გადახდისგან.

საშემოსავლო გადასახადისა გათავისუფლება

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემდეგი შემოსავლები:

- არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;
- ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, სახელმწიფო ბიუჯეტში ან ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული ასიგნებებით გამოყოფილი დახმარება ან ერთჯერადი განაცემი (მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები);
- ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;
- ალიმენტი;
- განქორწინების საფუძველზე ფიზიკური პირის მიერ მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);
- ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა. ზემოთ აღნიშნული ორ წლიანი ვადა უძრავი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში იანგარიშება საქართველოს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი (წარსადგენი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით, ხოლო „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც სხვაობა ქონების რეალიზაციის ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შექმნის ფასს შორის, გარდა საკუთრების უფლების უსასყიდლოდ (სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას, ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას ან სხვა შემთხვევებში) წარმოშობისას, როდესაც ნამეტი იანგარიშება ამ ქონების რეალიზაციის ფასსა და მიღების მომენტში უსასყიდლოდ მიღებული ქონების საბაზრო ფასს შორის;
- საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
- საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება.

- საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირისგან 1000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება;
- ფიზიკური პირისთვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;
- იმ მეწარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ „ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს:

N	საქმიანობის სახე	ფართობის მაქსიმალური ოდენობა მ ²
1	2	3
სექცია A		
1	01.41.1 ქვეკლასით გათვალისწინებული მომსახურება: – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ზორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით	
სექცია D		
2	17.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება	20
3	17.72.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – პულვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება	15
4	18.22.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა	10
5	18.23.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – საცვლების წარმოება	10
6	18.24.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თავსაბურავების წარმოება	10
7	18.24.9 ქვეკლასით გათვალისწინებული: – დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება	10
8	20.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება – ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება; – ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნობის წარმოება	20
9	26.21.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება	20
10	28.75.2 ქვეკლასით გათვალისწინებული: – სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლის და ინვენტარის წარმოება	20
11	36.30 კლასით გათვალისწინებული: – მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება – აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის ტუჩის გარმონიკების წარმოება; – სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება	15

	ინსტრუმენტების წარმოება	
12	36.62. კლასით გათვალისწინებული: – ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება	10
13	50.20 კლასით გათვალისწინებული: – ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	40
14	52.7 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს	20
15	52.71 კლასით გათვალისწინებული: – ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი	20
16	52.72 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი	20
17	52.73 კლასით გათვალისწინებული: – საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი	2
18	52.74.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი	10
19	52.74.9 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	20
სექცია H		
20	55.23.0 ქვეკლასით – სხვა საცხოვრებელი ადგილები– გათვალისწინებული: – საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გადაცემა სოფლის სახლებში (შაღებში), კოტეჯებში და ბინებში	60
სექცია K		
21	74.85.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: – სამდივნო და თარგმნითი მომსახურების გაწევა	5
22	93.01.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება	20
23	93.02.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თმის დაბანა, შესწორება და კრეჭა, დაწყობა, შეღებვა, შეფერადება, დახვევა, გასწორება და ანალოგიური სამუშაოები მამაკაცებისთვის და ქალებისათვის, აგრეთვე გაპარსვა და წვერის შესწორება	20
24	95.0 კლასით გათვალისწინებული: – შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება	

- 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის

განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

- პრივატიზების წესით (უსასყიდლოდ), ასევე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულების მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება.
- დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უცხოეთის დიპლომატიურ მისიებში, მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებსა და დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებში დაქირავებით მომუშავე საქართველოს მოქალაქეები (რეზიდენტი ფიზიკური პირები) თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან ამ ორგანიზაციებში 2005 წლის 1 იანვრამდე მიღებულ შემოსავლებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უცხოეთის დიპლომატიურ მისიებში, მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებსა და დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებში დაქირავებით მომუშავე საქართველოს მოქალაქეებს (რეზიდენტ ფიზიკურ პირებს) არ დაეკისრებათ საგადასახადო, ადმინისტრაციული ან სხვაგვარი პასუხისმგებლობა აღნიშნულ ორგანიზაციებში 2005 წლის 1 იანვრამდე დაქირავებით მიღებულ შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისა და საგადასახადო დეკლარაციის წარუდგენლობისთვის.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა შემოსავალი:

№	პირი	კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
1	ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, მხედველობის გამო I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	3 000 ლარამდე
2	მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქე	3 000 ლარამდე
3	პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართველის დედის“ საპატიო წოდება	3 000 ლარამდე
4	მარტოხელა დედა	3 000 ლარამდე
5	პირი, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში)	3 000 ლარამდე
6	პირი, რომელმაც აღსაზრდელად (შვილობილად) აიყვანა ბავშვი	3 000 ლარამდე
7	I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი	1 500 ლარამდე
8	მალაღმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (პირის კმაყოფაზე მეტი 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე	3 000 ლარამდე

	მეტი შვილი) პირის მიერ აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით მიღებული შემოსავალი	
9	მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები, ერთი - ან ორშვილიანი (პირის კმაყოფაზე მეოფი 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) პირის მიერ აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით მიღებული შემოსავალი	3 000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადი მცირდება 50%-ით

- თუ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოექმნება ზემოაღნიშნულ ცხრილში გათვალისწინებული ერთზე მეტი შეღავათის უფლება, მასზე გაგრძელება მათგან ერთი, უმაღლესი შეღავათი.

მოგების გადასახადისგან გათავისუფლება

მოგების გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება:

- საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;
- ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულობები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;
- საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;
- სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც მოხმარდება რეინვესტირებას (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) და თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას;
- 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;
- 2008 წლის 1 იანვრამდე ჟურნალ-გაზეთების მიწოდებით ან/და ჟურნალ-გაზეთებით სარეკლამო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება.

სოციალური გადასახადისგან გათავისუფლება

სოციალური გადასახადისგან გათავისუფლებულია:

- სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პირთათვის გადახდილი თანხები;
- შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ანაზღაურება;

- გრანტით მიღებული სახსრებიდან გრანტის მიმღები ორგანიზაციის მიერ გაცემული ანაზღაურება;
- დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებში დაქირავებით მომუშავე იმ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები;
- საქართველოს იმ არარეზიდენტის მიერ დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი, რომელიც საგადასახადო წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება 90 დღეზე ნაკლები ხნით, თუ ეს შემოსავალი გაიცემა საქართველოს არარეზიდენტი დამქირავებლის მიერ ან მისი სახელით და არა არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ; აგრეთვე „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად დაქირავებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შემოსავალი;
- საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული მეწარმე ფიზიკურ პირთა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ ფიზიკურ პირთა შემოსავალი;
- 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული და საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით დაკავებული პირის მიერ აღნიშნულ საქმიანობაში დაქირავებულისათვის გადახდილი ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში დამქირავებლის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უცხოეთის დიპლომატიურ მისიებში, მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებსა და დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებში დაქირავებით მომუშავე საქართველოს მოქალაქეები (რეზიდენტი ფიზიკური პირები) თავისუფლდებიან სოციალური გადასახადისგან ამ ორგანიზაციებში 2005 წლის 1 იანვრამდე მიღებულ შემოსავლებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უცხოეთის დიპლომატიურ მისიებში, მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებსა და დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებში დაქირავებით მომუშავე საქართველოს მოქალაქეებს (რეზიდენტი ფიზიკური პირებს) არ დაეკისრებათ საგადასახადო, ადმინისტრაციული ან სხვაგვარი პასუხისმგებლობა აღნიშნულ ორგანიზაციებში 2005 წლის 1 იანვრამდე დაქირავებით მიღებულ შემოსავლებზე სოციალური გადასახადის გადაუხდელობისა და საგადასახადო დეკლარაციის წარუდგენლობისთვის.

ქონების გადასახადისგან გათავისუფლება

ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია:

- რეზიდენტი ფიზიკური პირის ღიზინგით, იჯარით, ქირით, უზურფრუქტით ან სხვა ამგვარი ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ქონება, საკუთრებაში არსებული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილები, საქართველოში რეგისტრირებული იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები და ასევე საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (გარდა სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოყენებული მიწის ნაკვეთებისა) თუ

რეზიდენტი პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს;

- მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი), რომლის ფართობი არ აღემატება 30 კვადრატულ მეტრს;
- 2007 წლის 1 იანვრამდე ჟურნალ-გაზეთების საგამომცემლო საქმიანობით დაკავებული პირების ბალანსზე არსებული და ამ საქმიანობაში უშუალოდ გამოყენებული ქონება;
- მიწის ის ფართობები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავებული სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი საქმიანობისთვის, მათ შორის ღიანდაგებისა და საღიანდაგო დისტანციების, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოების, რკინიგზის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი შენობა-ნაგებობებისა და კომუნიკაციების, სარკინიგზო კოდექსით განსაზღვრული გასხვისების ზოლისა და დამცავი ზონის მიერ, გარდა სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სპორტულ და უშუალოდ რკინიგზის ფუნქციონირებასთან კავშირში არმყოფი ობიექტების მიერ დაკავებული მიწებისა. აგრეთვე მიწის გადასახადისაგან არ თავისუფლდება რკინიგზის ვაგზლის შენობის ქვეშ არსებული მიწის ფართობები;
- ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა;
- მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო და ელექტროგადამცემი ხაზები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საეტალონო და სასტენდო მოწყობილობები.
- ორგანიზაციის ქონება, გარდა მიწისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;
- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გამოყენებული ქონება;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწებისა;
- ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;
- ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკებით ან/და სასაფლაოებით, ზოოლოგიური ბაღებით ან/და პარკებით, ოკეანერიუმებით, სკვერებით, ხეივნებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე ღია საუწყებო პარკებით, ბაღებით და ტყე-ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;
- ქალაქის წყალსაცავებით და მათი აკვატორიებით დაკავებული ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის და არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;
- ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;

- სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;
- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და საქართველოს სახელმწიფო აღმით მცურავი გემები, გარდა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტების (კატარღების), თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისა;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად;
- ქურთის, ერედვისა და თიღვის თემები, სოფლები ავნევი და ნული – დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგებამდე;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოყენებული სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარავო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
- ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;
- ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;
- ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;
- 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული, 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;
- „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრების სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე 2014 წლის 1 იანვრამდე „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამელიორაციო ასოციაციებისათვის გადაცემული, მათი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;
- მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები – პრივატიზაციის წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;
- „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი – მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;

- სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებათა ქონება, გარდა მიწისა;
 - სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება არასამედიცინო ეკონომიკური საქმიანობისათვის;
 - სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ფინანსდება ბიუჯეტიდან;
 - მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება უსინათლოების, ყრუ-მუნჯების, გონებრივად ჩამორჩენილი და ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვების, ომის ვეტერანთა საზოგადოებების, მოხუცებულთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადაპტაციისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სახლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწვეიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;
 - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც მოწეული მოსავლის ნახევარზე მეტიც განადგურდა სტიქიის (ქარიშხალი, სეტყვა, გვალვა, წყალდიდობა) და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ – სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ;
 - სამონადირეო მეურნეობების მიერ დაკავებული მიწები.
- 2009 წლის 1 იანვრამდე ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირების, საკუთრებაში ან ლიზინგით არსებული ქონება (გარდა მიწისა), ასევე იჯარით, ქირით, უზურფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონება. ამასთანავე, აღნიშნულ ქონებაზე (თუ ისინი გამოყენებულია დამქირავებლის (მოიჯარის) მიერ სამეწარმეო საქმიანობისთვის) ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება დამქირავებელს (მოიჯარეს), ქონების საბაზრო ღირებულების არა უმეტეს 1%-ისა.
- დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შეღავათების მქონე პირი მის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს) ან/და შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) იჯარით, უზურფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გადასცემს სხვა პირს.

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლება

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

- საქონლის ექსპორტი;
- საქონლის რეექსპორტი; საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდებიან საბაჟო გადასახადი ან რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;
- საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;
- უცხოური საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას; საბაჟო საწყობებიდან საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას იგი იბეგრება დადგენილი წესით, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში – სათანადო რეჟიმის შესაბამისად;
- საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
- საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტების შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;
- საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც არანაკლებ 25%-ის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს¹;
- საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონების იმპორტი, აგრეთვე „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი;
- საქონლის დროებით შემოტანა საბაჟო კოდექსის შესაბამისად იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრული გათავისუფლებით (გარდა იმ საქონლისა, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა);
- გემების, საჰაერო საფრენი საშუალებებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქონლის საქართველოში დროებით შემოტანა;
- იმ საქონლის დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად.

ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; აგრეთვე ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დროებით შემოტანა;

- თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის გადატანის, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საქონლის განადგურების ან სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა;
- საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ამ რეჟიმის შესაბამისად;
- საბაჟო კოდექსით განსაზღვრული დაბრუნებული საქონლის, საზღვაო თევზჭერის ან ზღვის სხვა პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად განკუთვნილი საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, რომელზედაც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი იტოვებს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ გარანტიას და რომლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანისას უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;
- გზავნილების შემთხვევაში, იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ ერთი დღე-ღამის განმავლობაში:
 - ☞ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 06, 07, 08, 19 ჯგუფებისა და 0401-0406, 1601, 1702-1704, 2101-2102 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 200 ლარამდე ღირებულების, მაგრამ საერთო წონით არა უმეტეს 5 კგ-ისა, კვების პროდუქტების იმპორტი;
 - ☞ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე (ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანისას - 1500 ლარამდე) ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის (ფიზიკური პირის შემთხვევაში) განკუთვნილი საქონლის იმპორტი;
 - ☞ 2 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი (გარდა 18 წლამდე ასაკის პირის მიერ იმპორტირებულისა) (ეს პუნქტი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე);
 - ☞ უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 7500 ლარამდე ღირებულების, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ხოლო უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი (ეს პუნქტი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე);

- ☞ საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი (ეს პუნქტი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე);
- ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის;
- რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი;
- საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები, აგრეთვე საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საწვავი და საპოხი საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული საქონლის შემოტანისას გადაიხდებიან საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოების მიერ დაიტოვება საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება გარანტია;
- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;
- უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში;
- 2008 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნაწარმის ან/და ნედლეულის („ტრაბზონის“ ჯიშის თამბაქოს გარდა) იმპორტი.

აქციზისგან გათავისუფლება

აქციზისგან გათავისუფლებულია:

- ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული ალკოჰოლური სასმელები;
- ფიზიკური პირის მიერ 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი;
- საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემომსვლელი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების იმ სტანდარტულ ავზში არსებული საწვავი, რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად არის დაკავშირებული;
- აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას (გარდა საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქციზური საქონლის დროებით შემოტანისა, აგრეთვე იმ მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომლებიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა

ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული იმ აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა, გადაიხდევენება აქციზი, ან ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით ბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით.

- საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი, რისთვისაც გადაიხდევენება აქციზი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია. იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული ამ საქონლის მოცულობის მიხედვით.
- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი ან/და მიწოდება;
- მისართის, გამსხნელისა და დეტონატორის იმპორტი, თუ იგი არ გამოიყენება აქციზური საქონლის წარმოებისთვის. აღნიშნული საქონლის იმპორტისას გადაიხდევენება აქციზი, ხოლო იმ დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს საქონლის გამოყენებლობას აქციზური საქონლის წარმოებისთვის, გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოები უბრუნებენ აქციზის გადახდილ თანხას.
- საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავისა და საპოხი საშუალებების იმპორტი, რისთვისაც გადაიხდევენება აქციზი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია. იმპორტიორს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული ამ საქონლის მოცულობის მიხედვით.

დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლება

დღგ-სგან გათავისუფლებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების ან/და იმპორტის შემდეგი სახეები:

- ფინანსური მომსახურების გაწევა;
- ეროვნული და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულის) და ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და იმპორტი;
- საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების მიწოდება ან/და იმპორტი;
- განძეულობის, ჩამორთმეული ან/და უპატრონო საქონლის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებული საქონლის მიწოდება ან/და

იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

- სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;
- სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემული საქონლის ან/და გრანტების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ; მომსახურების გაწევა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელთაც ზემოაღნიშნული მიზნებისათვის აფინანსებს უცხოური ორგანიზაცია და რომელთა ერთ-ერთ მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო. ამ ქვეპუნქტის მიზნისათვის ხელშეკრულებით მომსახურების გაწევის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;
- ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რომელიც დადგენილია საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებისთვის;
- საგადასახადო კოდექსის 270⁵ მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი.
- საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები;
- საქონლის ტრანზიტი, რემპორტი და დროებით შემოტანა. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისას (გარდა საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის, გემების, საჰაერო საფრენი საშუალებების დროებით შემოტანისა, საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული საქონლის დროებით შემოტანისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობა) შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანისა), აგრეთვე საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული იმ საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა, გადაიხდევინება დღგ ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას საქართველოს საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით ბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;
- რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დღგ ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას ბრუნდება დღგ-ს

გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად განკუთვნილი საქონლის იმპორტი, რომელზედაც გადაიხდებიან დღ ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას ბრუნდება დღ-ის გადახდილი თანხა, ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გადატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით. გადამუშავების პროდუქტების იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევისას გარანტიის შესაბამისი თანხები წარიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.
- საქართველოს არარეზიდენტების მიერ დაფუძნებული იმ სანაოსნო (გემთმფლობელი) საწარმოების მიერ სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და რომელთა გემიც (გემებიც) დაცურავს საქართველოს სახელმწიფო ალმით;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 0102 10, 0103 10 000 00, 0104 10 100 00, 0104 20 100 00, 0105 11, 0511 10 000 00, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00 000, 3103-3105, 3808 10, 3808 20 (გარდა 3808 20 100 00-ისა), 3808 30 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი, აგრეთვე ამ კოდებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00, 0602 90 100 00, 0713 31 000 00, 0713 32 000 00, 0713 33 100 00, 0713 39 000 00, 1001 90 910 00, 1003 00 100 00, 1206 00 100 00, 1209 21 000 00, 1209 23, 1209 91, 2833 25 000 00, 3808 20 100 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყოველწლიური კვოტების მიხედვით, აგრეთვე ამ კოდებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება;
- სახელმწიფო რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგარაიონულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყო-დანადგარებისა და ქიმიური რეაქტივების იმპორტი;
- დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალური (მათ შორის, ავტოტრანსპორტით) მომსახურება;
- სამედიცინო მომსახურება, უპატრონო ბავშვთა სახლებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის, ავადმყოფთა, ინვალიდთა ან/და ღრმად მოხუცებულთა მოვლა-პატრონობის მომსახურება ან/და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ნოტების) მიწოდება, იმპორტი, რეალიზაციის მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების ან/და ჟურნალ-გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4820 20 000 00 კოდში მითითებული საქონლის (რვეულების) მიწოდება. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4801, 4802 55 000 00 და 4810 22 კოდებში აღნიშნული საქონლის იმპორტი;

- 16 წლამდე ასაკის ფიზიკური პირის სახელოვნებო და სასპორტო სწავლების მომსახურება, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 1211 10 000 00, 1211 20 000 00, 1301 10 000 00, 1301 20 000 00, 1504 20, 1515 30, 1520 00 000 00 და 1702 11 000 00 კოდებში მითითებული საქონლის, 28-ე და 29-ე ჯგუფებში წარმოდგენილი სამკურნალო (ფარმაცევტული) ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის (გარდა საღებავი რეზინისა), მათ შორის, ვაქცინების, 3912 12 000 00, 3912 31 000 00, 7010 10 000 00, 7010 90 790 00 და 9602 00 000 00 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000 00, 9001 30 000 00, 9001 40, 9001 50, 9018-9022, 9025 11 910 00 და 9402 90 000 00 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713 და 8714 20 000 00 კოდებში მითითებული გადაადგილების უნარის არმქონე ადამიანებისათვის ეტლების, იოდიზებული მარილის, რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) მიწოდება ან/და იმპორტი;
- იმ საქონლის იმპორტი ან/და დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი და დროებით შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადაამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე);
- ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ან/და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;
- ღიაბეტური პურის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8701 90 110 00-8701 90 500 00 კოდებში აღნიშნული ტრაქტორებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8706 00 190 00, 8706 00 990 00, 8707 90 100 00, 8707 90 900 00, 8708 10 900 00, 8708 29 100 00 - 8708 40 900 00, 8708 50 900 00 - 8708 70 100 00, 8708 80 100 00, 8708 80 900 00, 8708 91 100 00, 8708 91 900 00, 8708 92 100 00, 8708 92 900 00, 8708 93 100 00, 8708 93 900 00, 8708 94 100 00, 8708 94 900 00, 8708 99 კოდებში აღნიშნული შასის, ძარის, ნაწილებისა და მოწყობილობების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8432 90 000 00 და 8433 90 000 00 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტი ან/და მიწოდება.
 - ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით უცხოეთის სახელმწიფოების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით დაფინანსებული საქონლს იმპორტი ან/და სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო, სარესტავრაციო, საცდელ-საკონსტრუქტორო ან/და გეოლოგიურ-საძიებო მომსახურების გაწევა;
 - ელექტროენერჯის წარმოებისათვის (თბოელექტრო-სადგურებისათვის) ბუნებრივი აირის იმპორტი ან/და მიწოდება.
 - ლატარიებით, კაზინოებით (სამორინეებით), აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა;
 - თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის გადატანის, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საქონლის განადგურების ან სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გაცემის საბაჟო დამუშავების ოპერაციისთვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა. საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული დაბრუნებული საქონლის, საზღვაო თევზჭერის ან ზღვის სხვა პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა.
- დღგ-სგან გათავისუფლება ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს.

საკონტროლო-საღარიბო აპარატების გამომყენების განთავისუფლება

აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან:

- პირები მომხმარებლებთან ანგარიშსწორების იმ ნაწილში, სადაც გამოიყენება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფაქტის დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი;
- ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახდენენ პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან მისგან წარმოებული (გადამუშავებული) საქონლის რეალიზაციას – საქმიანობის ამ ნაწილში;
- ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირები, რომლებსაც ამ კოდექსით არ აქვთ საგადასახადო ორგანოში მეწარმე ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის ვალდებულება;
- პირები, რომლებიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებენ მომხმარებლების ტერიტორიაზე (სახლებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში) – საქმიანობის ამ ნაწილში, ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტის გაცემის პირობით;
- პირები, რომლებიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებენ ავტომატიზებული ან მექანიკური მოწყობილობების მეშვეობით – საქმიანობის ამ ნაწილში;
- მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქუჩაში დატარების ფორმით წვრილ საცალო ვაჭრობას, გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვას ქუჩაში დადგმული სტენდებიდან/მაგიდებიდან – საქმიანობის ამ ნაწილში;

- 2008 წლის 1 იანვრამდე პირები, რომლებიც გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვას ახორციელებენ სპეციალიზებული ჯიხურებიდან – საქმიანობის ამ ნაწილში;
- პირები, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ნივთების (ჯვრები, ხატები, სანთლები და ა.შ) რეალიზაციას – საქმიანობის ამ ნაწილში.
- ის მეწარმე ფიზიკურ პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ „ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს:

N	საქმიანობის სახე	ფართობის მაქსიმალური ოდენობა მ ²
1	2	3
სექცია A		
1	01.41.1 ქვეკლასით გათვალისწინებული მომსახურება: – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით	
სექცია D		
2	17.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ხალიჩებისა და ორბოვისებრი ნაწარმის წარმოება	20
3	17.72.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება	15
4	18.22.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა	10
5	18.23.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – საცვლების წარმოება	10
6	18.24.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თავსაბურავების წარმოება	10
7	18.24.9 ქვეკლასით გათვალისწინებული: – დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება	10
8	20.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება – ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება; – ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნობის წარმოება	20
9	26.21.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება	20
10	28.75.2 ქვეკლასით გათვალისწინებული: – სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლის და ინვენტარის წარმოება	20
11	36.30 კლასით გათვალისწინებული: 1 – მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება – აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის	

	ტუჩის გარმონიკების წარმოება; – სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება ინსტრუმენტების წარმოება	15
1 2	36.62. კლასით გათვალისწინებული: – ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება	10
სექცია G		
1 3	50.20 კლასით გათვალისწინებული: – ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	40
1 4	52.7 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს	20
1 5	52.71 კლასით გათვალისწინებული: – ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი	20
1 6	52.72 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი	20
1 7	52.73 კლასით გათვალისწინებული: – საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი	2
1 8	52.74.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი	10
1 9	52.74.9 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	20
სექცია H		
2 0	55.23.0 ქვეკლასით – სხვა საცხოვრებელი ადგილები – გათვალისწინებული: – საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გადაცემა სოფლის სახლებში (შალებში), კოტეჯებში და ბინებში	60
სექცია K		
2 1	74.85.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: – სამღივნო და თარგმნითი მომსახურების გაწევა	5
2 2	93.01.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება	20
2 3	93.02.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თმის დაბანა, შესწორება და კრეჭა, დაწყობა, შეღებვა, შეფერადება, დახვევა, გასწორება და ანალოგიური სამუშაოები მამაკაცებისთვის და ქალებისათვის, აგრეთვე გაპარსვა და წვერის შესწორება	20
2 4	95.0 კლასით გათვალისწინებული: – შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება	